პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---თებერვალი 2017 წელი

ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ზაქარია ჯორჯაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის არქიმანდრიტ ილია კარტოზიას სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ჩუღურეთის რაიონში, ზაქარია ჯორჯაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს არქიმანდრიტ ილია კარტოზიას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

X-486,512.466
Y-4,620,200.440
X-486,285.081
Y-4,619,969.008

02/706

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ქ-ნ ლ. ჯახველაძეს

გთხოვთ განიხილოთ.

გიორგი ალიბეგაშვილი
30.06.16 წ

№12053
30.06.16 წ

ქ. თბილისის საკრებულოს
თ. წერ. 8-6 ბ. ალექსიძეს.

ქ. თბილისის ფარგლებში ნაგავის
ტრანსპორტირებისა და გატანის მწყობრში
მოყვანის.

ბ ა ნ ი ს ხ ი ა:

მოგეხსენებათ, რომ ჩვენ ბ/პირადობა
მოსახლეობის „ავტო. ტრანს“ ერთიანი მუნიციპალური
ნომერი 81.21.04.727. ვიმყოფები ბევრი ქუჩა ან სრ
ლიად მოსახლეობის, რომ ეზოებიდან ნაგავი ვერ ამოვიღოთ
იგი ლიბერტარიუმში მოსახლის ლოგიკურად.
ეზოებიდან მოგროვილი ბევრი ქუჩა ამა თუ ამ ადგილზე
სულ.

პეტერბურგი ქუჩის მცხოვრებლები:

1. ზ. ოთხი SN: 16 20 07.01.0922
2. ბ. ბურჯანაძე SN 60001015505
3. ალი SN 52001011786
4. ზ. ბურჯანაძე SN. 01006018590
5. ბუბუნა SN 29001603854
6. ნ. პარტალია SN 42001033950
7. ზ. ბურჯანაძე SN 42001013038
8. ბ. ბურჯანაძე SN. 13001013143
9. ბ. ბერიძე. SN. 01009023555
10. ბ. ბურჯანაძე ბ. ბურჯანაძე SN 41601032327
11. ქ. ბრეთიძე SN.

12053
30 ივნისი 16

02/706 (ასოდ)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

თბილისი, 0114, თავისუფლების მოედ[illegible], ტ[illegible]: +995 (32) 2 15 92 92; www.sakrebulo.ge
FREEDOM SQUARE 2, 0114 TBILISI, GEORGIA; TEL. +995 (32) 2 15 92 92; www.sakrebulo.ge

№ _ _ _ _ "_ _ _"_ _ _ _ _ _ _ 2016 წ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

მდივანს დეკანოზ მიქაელ ბოტკოველს

გაცნობებთ, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია განიხილავს 2016 წლის 30 ივნისის N12053 კოლექტიურ განცხადებას, ე.წ. ივერთუბანში უს[illegible]ო ქ[illegible]ისთვის მამა ილია კარტოზიას სახელის მინიჭების შესახებ.

ვინაიდან ილია კარტოზია სასულიერო პირი იყო, ხოლო ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდებას წესის დ[illegible]ცს შესახებ 2015 წლის 16 ივნისის N1659 დადგენილების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად რელიგიურ დღესასწაულებთან და სასულიერო მოღვაწეებთან დაკავშირებული სახელდება თანხმდება შესაბამის კონფესიებ[illegible]ან [illegible]ითხოვთ, გვაცნობოთ, საქართველოს საპატრიარქოს პოზიცია ერთ-ერთ[illegible]ურჩ[illegible]ოვის მამა ილია კარტოზიას სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

დანართი:1(ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის [illegible]ის

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე ლია ჯახველაძე

02/706 (ასოცი)

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის
მდივანი

0105, თბილისი, მეფე მოციქული II ფოთ. №1
ტელ: (995 32) 99 03 78; 98 27 09
ფაქსი: (995 32) 98 71 14

SECRETARY OF THE
CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA

#1 King Erekle II sq. Tbilisi 0105,
Tel: (995 32) 99 03 78; 98 27 09
FAX: (995 32) 98 71 14

№ 973

15.07. 2016წ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებქისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს,
ქალბატონ ლია ჯაბველაძეს

ქალბატონო ლია,

გაცნობებთ, რომ საქართველოს საპატრიარქო წინააღმდეგი არ არის თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის არქიმანდრიტ ილიას (კარტოზია) სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს–პატრიარქის
მდივანი

დეკანოზი მიქაელ
ბოტკოველი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
შემოსულია ნომერი 1 დანართი

№12053 21.07.2016ნ

არქიმანდრიტი ილია (ერისკაცობაში ომარი გიგას-ძე) კარტოზია

(1987- 2014)

ადრიატიკის ზღვაში ტრაგიკულად დაღუპული, მცხეთის დავით აღმაშენებლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი. დაჯილდოებულია საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ ზღვაში ჩადენილი განაკუთრებული სიმამაცისთვის დაწესებული ჯილდოთი, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტმა არქიმანდრიტი ილია კარტოზია დააჯილდოვა „სამაგალითო სამოქალაქო თავდადებისა და გმირობისათვის, განსაკუთრებული პიროვნული მამაცობის გამოვლენისათვის, სამოქალაქო თავდადებისათვის“.

არქიმანდრიტი ილია, (ერისკაცობაში ომარი გიგას-ძე) კარტოზია, დაიბადა 1987 წლის 1 მაისს ქ.სოხუმში. 1996 წლიდან ქ.ზუგდიდის მაცხოვრის კარის ტაძრის სტიქაროსანია, ხოლო 2000 წელს გადაყვანილ იქნა ზუგდიდის საკათედრო ტაძარში ეპარქიის მღვდელმთავრის პირად სტიქაროსნად. 2004 წელს დაამთავრა ზუგდიდის მე-4 საშუალო სკოლა, იმავე წელს ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტ გერასიმეს ლოცვა-კურთხევით გაგზავნილ იქნა ახალციხეში, საფარის წმ.გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარიაში სასწავლებლად და ცხოვრობდა მონასტერში. 2005 წლის 4 აგვისტოს სულიერი მოძღვრისა და ეპარქიის მღვდელმთავართან შეთანხმებით მივიდა სვეტიცხოვლის მამათა მონასტერში მორჩილად. 2006 წლის 21 მარტს სულიერი მოძღვრის - არქიმანდრიტ ისააკის (ღადუა) წარდგინებითა და მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით შეიმოსა მორჩილის კაბით. იმავე წელს დაინიშნა სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის მთავარ მედავითნედ. 2007 წლის 9 მარტს მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით არქიმანდრიტმა ისააკმა შემოსა სამონაზვნე მანტიით და ილია უწოდა. 2008 წლის 1 სექტემბერს დაინიშნა სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის მთავარ დიაკვნად. იმავე წელს არქიმანდრიტ ისააკის

წარდგინებით და მონასტრის ძმობასთან შეთანხმებით დაინიშნა მონასტრის კეთილმოწესედ და ეკონომოსად. 2009 წლის 13 მარტს მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოს ლუკას მიერ ხელდასხმულ იქნა მღვდელ-მონაზვნად. იმავე წლის 18 ოქტომბერს სამების საპატრიარქო ლავრაში მისმა უწმინდესობამ დააჯილდოვა ოქროს ჯვრით და აიყვანა იღუმენის ხარისხში. 2010 წლის 19 ნოემბერს დაინიშნა მცხეთის წმინდა გიორგის მამათა მონასტრის წინამძღვრად. 2010 წლის 12 დეკემბერს მისმა უწმინდესობამ, ეკლესიაში ერთგული მსახურებისათვის აიყვანა არქიმანდრიტის ხარისხში. 2012 წლის 10 თებერვლიდან კი დაინიშნა მცხეთის დავით აღმაშენებლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად.

2014 წლის 28 დეკემბერს მამა ილია კარტოზია პატრიარქის კურთხევით მრევლთან ერთად ქალაქ ბარში (იტალია), წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის მოსალოცად მიემგზავრებოდა. ადრიატიკის ზღვაში ბორან "ნორმან ატლანტიკზე" საქართველოს რვა მოქალაქე იყო, მათ შორის ერთი ბავშვი და ფეხმძიმე ქალი. საბერძნეთის სანაპიროსთან ბორანს მოულოდნელად ცეცხლი გაუჩნდა. მამა ილიას გარდა ყველა მათგანი ცოცხალი და უვნებელი გადარჩა. მამა ილიას შეეძლო გადარჩენა, თუმცა მან საკუთარი ადგილი ბავშვიან ქალს დაუთმო, რის გამოც ზღვაში გადავარდა და დაიღუპა.

2015 წლის 18 იანვარს არქიმანდრიტი ილიას ცხედარი ბარიდან თბილისში ჩამოასვენეს. 2015 წლის 19 იანვარს საქართველოს პრეზიდენტმა არქიმანდრიტი ილია კარტოზია „სამაგალითო სამოქალაქო თავდადებისა და გმირობისათვის, განსაკუთრებული პიროვნული მამაცობის გამოვლენისათვის, სამოქალაქო თავდადებისათვის“, სიკვდილის შემდეგ მედლით დააჯილდოვა.

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია (IMO), ზღვაში ჩადენილი განსაკუთრებული სიმამაცისთვის ყოველწლიურად აჯილდოებს სხვადასხვა ადამიანებს. წელს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს შეთავაზების საფუძველზე, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის სამდივნოს 114-ე სესიაზე გადაწყდა, რომ არქიმანდრიტი ილია კარტოზია დაჯილდოვებულიყო ზღვაში ჩადენილი განსაკუთრებული სიმამაცის ჯილდოთი. საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ინფორმაციით, ასეთი დონის საზღვაო ჯილდო აქამდე საქართველოს არც ერთ მოქალაქეს არ მიუღია და მიუხედავად ტრაგიკული შემთხვევისა, საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტია ქართველი სასულიერო პირის სიმამაცის დაფასება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ.

2015 წლის 20 იანვარს მამა ილია კარტოზია მცხეთაში, დავით აღმაშენებლის სახელობის მამათა მონასტრის ეზოში დაკრძალეს.